აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№142 (25.022) სამშაბათი, 27 - 28 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმში საახალწლო ღონისძიებები 25 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

25 დეკემბერს ბათუმის მთავარი ნაძვის ხე საზეიმო ვითარებაში აინთო. ევროპის მოედანზე მოქალაქეებთან ერთად ოჯახითურთ იმყოფებოდა ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი

გრანდიოზული ფოიერვერკი და საახალწლო განათებები ათასობით ადამიანმა ნახა. შეკრებილებს ევროპის მოედანზე ნაძვის ხის გარდა საგამოფენო სივრცის დათვალიერებაც შეეძლოთ. მოწყობილი იყო ფანჩატური, შესასვლელი თაღი, სანტას კუთხე, საახალწლო ინსტალაციები, როგორიცაა - „ახალი წელი შენს ეზოში“ და სხვა.

როგორც ბათუმის მერიაში აცხადებენ, ბათუმში საახალწლო დღესასწაული ერას მოედანზე 25 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით აღინიშნება - იქნება ცეცხლოვანი შოუ, ილუზიონისტები, აკრობატები, ჯამბაზები... მონტაჟდება ლედ ეკრანი, ბიოტუალეტები, გაიმართება კონცერტები. დაგეგმილი ღონისძიებებისთვის ბათუმის კულტურის ცენტრმა ტენდერი 374 ათასი ლარით გამოაცხადა. წინასაახალწლო და ახალი წლის პერიოდში დაგეგმილია შემდეგი ძირითადი აქტივობები: 26, 27,28 29 დეკემბერი - ბათუმური ბენდების კონცერტი; 31 დეკემბერი - გრანდიოზული საახალწლო გალა კონცერტი; 1,2,3,4,5,6 იანვარი - ბათუმის ბენდების კონცერტი; 7 იანვარი - საშობაო, დასკვნითი კონცერტი. 25, 31 დეკემბერსა და 7 იანვარს ვნახავთ გასართობ პროგრამებს, განსაკუთრებულ სანახაობას, მათ შორის ცეცხლოვან შოუს, აკრობატებს, ილუზიონისტებისა და ჯამბაზების წარმოდგენებს. დასწრება თავისუფალია.

კონცერტებში მონაწილეობენ ზვიად ბოლქვაძე (ბენდთან ერთად), „ლურჯი იალქანი“, „პარამიტა“, DJ ნუგი, ჩემი ბენდი, KAI, GSOUND, DG MODERNIKK, DJ CHIKI, ბათუმის ჯაზბენდი, სოლისტები და სხვა. ქალაქის ბიუჯეტიდან საახალწლო-საშობაო დღეებში ბათუმის გაფორმებისთვის 2 მილიონი ლარი გამოიყო. რაც შეეხება ნაძვის ხეს, რომელიც მოსახლეობამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბათუმის მერიამ „აჭარგანათებისგან“ 968 387 ლარად შეიძინა. ნაძვის ხის შესყიდვა ტენდერის გარეშე ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ განახორციელა.

კრიალოსა N იუსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრებიდან 45 წელი შესრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ წმინდა სინოდის წევრ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა. მის უწმინდესობას საპატრიარქო რეზიდენციაში ეწვივნენ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, ასევე, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები.

* * *

საგარეო საქმეთა სამინისტროში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეკრება - „ელჩების კონფერენცია 2022“ გაიმართა. ქართველ დიპლომატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. მთავრობის მეთაურმა ელჩებთან ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მიმოიხილა და მათ კონკრეტული დავალებები მისცა.

* * *

მსურს, მადლობა გადაგიხადოთ გაწეული საქმიანობისთვის, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საქართველოს ღირსეულად წარდგენისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვისთვის. პარლამენტი იგულეთ თქვენს პარტნიორად, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა „ელჩების კონფერენცია - 2022“ - ის გახსნაზე. მან მსოფლიოში და რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, უსაფრთხოების გარემოსა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ისაუბრა. პაპუაშვილის თქმით, 2022 წელი საერთაშორისო მასშტაბით რთული იყო და საქართველოს სწორედ ამ ვითარებაში მოუწია ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე, პარტნიორობის გაფართოებასა და რეგიონში მშვიდობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაზე ზრუნვა.

* * *

„ხალხის ძალის“ ლიდერები რეგიონების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ბორჯომში გამართულ შეხვედრაზე მათ განვლილი წელი შეაჯამეს, არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები განიხილეს. „ხალხის ძალის“ ლიდერების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა სულ რამდენიმე თვის წინ დაფუძნდა, რეგიონებიდან მოსახლეობის დიდ მხარდაჭერას გრძნობენ. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეხვედრებს სამომავლოდაც აქტიურად გეგმავენ.

მოამზადა
ია შველიძემ

«ინვესტიცია უსაფრთხოებასა და დემოკრატიაში», ანუ რატომაა მნიშვნელოვანი დასავლური მხარდაჭერა 3

მეცნიერებათა აკადემიამ შუშანა ფუტკარაძე და აკაკი ბერიძე საპატიო სიგელებით დააჯილდოვა 4

ასანთის ღერების არქიტექტორი - ბათუმიდან 5

«ჩემი საფიქრალი მხოლოდ საქართველოა» 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ღია მეცნიერების“ კვირეული – აჭარაში

დარინა ბაბაიძე 27 48 93

„ღია მეცნიერების“ კვირეულის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიფვაძის ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდითა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ბსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებთან შეხვედრა გაიმართა

ღონისძიებაზე კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა გაწეული საქმიანობისა და მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტსა და ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს კვლევებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების მეცნიერ-თანამშრომლები: ნუნუ კუტალაძე, დარეჯან ჩიქოვანი, ავთანდილ მესხიძე და ბსუ-ის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ნანული ნოღაიდელი დააჯილდოვეს.

ბსუ-ის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა მეცნიერები შემდეგ ნომინაციებში დააჯილდოვა:

მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევისთვის - ნოდარ კახიძე;

ევროპულ საგრანტო პროექტში აქტიური ჩართულობისათვის - ზოია სიხარულიძე, იზოლდა მაჭუტაძე, რუსლან ბარამიძე, სულხან მამულაძე;

ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის - ირინე ვარშალომიძე, ლია ქოიავა, მერაბ არძენაძე, ნელი ხალვაში, ციალა ნარაკიძე;

საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის წარმატებულად განხორციელებისათვის - ოლეგ ჯიბაშვილი, მარიამ მეტრეველი, დალი ქამადაძე, ელზა ფუტკარაძე;

მნიშვნელოვან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის - ნარგიზ ახვლედიანი, მაკა მურადაშვილი;

დოქტორანტების წარმატებული ხელმძღვანელობისათვის - მარიამ მეტრეველი, გალინა მეფარიშვილი, ალეკო კალანდია;

მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით გაწეული საქმიანობისათვის - თამილა ღლომთათიძე, ნინო კიკნაძე, რუსლან დავითაძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ირაკლი მიქელაძე, ნაილა ჩელებაძე;

შავი ზღვის კვლევებში მიღწეული შედეგებისათვის - რეზო გორაძე, ნინო კიკნაძე;

საუკეთესო სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნისათვის - გალინა მეფარიშვილი, ალეკო კალანდია, ზურაბ მიქელაძე, რაულ გოცირიძე, გურამ პაპუნიძე;

ციტირებადი პუბლიკაციებისათვის - იზოლდა მაჭუტაძე, ზოია სიხარულიძე, ქეთინო ნაცარიშვილი, ალეკო კალანდია;

წარმატებული სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობისათვის - გურამ მემარნე, ნინო მხეიძე, როინ მალაყმაძე.

მაია ხაჯიშვილმა მეცნიერ-თანამშრომლებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და მათ წარმატებები უსურვა სამეცნიერო საქმიანობაში. როგორც მინისტრმა აღნიშნა, აჭარის მთავრობა მუდმივად არის მზად იმისათვის, რომ ყველა მიმართულება, რომელიც მნიშვნელოვანია ახალი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის, იყოს უფრო მეტად ხელმისაწვდომი მეცნიერებისთვის და მისცეს მათ ახალი სიტყვის თქმის შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე.

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ანგარიში წარადგინა

დარინა ბაბაიძე 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა ევროპასთან ინტეგრაციისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში წარადგინა

ნინო თანდილაშვილმა სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

„საქართველოს მთავრობამ სულ ახლახანს მოიწონა სამრეწველო ემისიების შესახებ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების შემცირებას. 2022 წელს პარლამენტში დაიწყო წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა, რომლის მიღება 2023 წლის გაზაფხულზე იგეგმება. აღნიშნული კანონპროექტი სრულად პასუხობს ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს და ხელს შეუწყობს ასოცირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, რაც მთავარია, წყლის რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფას ჩვენს ქვეყანაში. პროგრესი გვაქვს დაცული ტერიტორიების გაფართოების და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით. საქართველოს ტერიტორიების თითქმის 14% დაცულ ტერიტორიებს აერთიანებს. წელს დამატებით 110 ათასი ჰა-ით გავაფართოეთ დაცული ტერიტორიები, რაც მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე და პასუხობს დღის წესრიგს, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში გვაქვს. მოვამზადეთ ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონი, რომელიც მომდევნო წელს საქართველოს პარლამენტს წარედგინება“, - აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ ქვეყანაში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმა დაიწყო, რომელიც მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას და ნარჩენების დახარისხებას ითვალისწინებს. ასევე, ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებული ჰაერდაცვითი კანონმდებლობის და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე, რაც მოიცავს სამრეწველო ემისიების შემცირებას და მსხვილ ქალაქებში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

„საწარმოებისთვის დავაწესეთ ახალი სტანდარტები, საწარმოებმა დაიწყეს ონლაინმონიტორინგის სისტემების განთავსება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ატმოსფერულ ჰაერში სამრეწველო ემისიების გაფრქვევის შემცირებას. ახალი კანონმდებლობა გვაქვს სატრანსპორტო სექტორიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების უზრუნველყოფისთვის“, - აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა.

როგორც მინისტრის მოადგილემ განაცხადა, სამინისტროს მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა და შემუშავებული კანონპროექტები სრულ თანხვედრაშია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

გაერთიანებულ სხდომას კომიტეტების წევრები და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ნეოფარმის“ აქცია – შუახევში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალიოშა ბაკურიძე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბანშია გაზრდილი

მისი თანადგომა მარეთის ხეობასა და მთლიანად აჭარის მთიანეთს არ აკლია. მამის გზას აგრძელებს ფარმაცევტული საწარმო შპს „ნეოფარმის“ გენერალური დირექტორი ლაშა ბაკურიძე. მან და ამავე საწარმოს დირექტორმა ტარიელ ბაკურიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ფრიდონ ფუტკარაძის თხოვნით, შუახევის მუნიციპალიტეტში წელს მეორე საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს.

ფარმაცევტულ საწარმო შპს „ნეოფარმის“ წარმომადგენლებმა პირველადი დახმარების მედიკამენტები შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან ომარ ტაკიძესთან და მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად, შუახევის სოციალური სერვისების ცენტრს გადასცეს. ცენტრის თანამშრომლები უფასოდ შემოტანილ მედიკამენტებს პირველადი ჯანდაცვის ცენტრებსა და თემის სამედიცინო პუნქტებში გადაანაწილებენ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ფარმაცევტულ საწარმოს გაწეული ქველმოქმებისთვის.

ქრონიკა

ბათუმში დასრულდა აჭარის ღია პირველობა მკლავჭიდში 18 წლამდე სპორტსმენთა შორის. ტურნირში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ასპარეზობა როგორც ვაჟთა, ასევე გოგონათა შორის ჩატარდა. ეს იყო აჭარის მკლავჭიდის რეგიონული ფედერაციის მიერ ორგანიზებული 2022 წლის შემაჯამებელი ტურნირი. შეჯიბრების შემდეგ აჭარის ნაკრები დაკომპლექტდება.

* * *

ესტაფეტა გაიმართა ბათუმის ბულვარში. 24 საათის განმავლობაში გარბენში 7 ქვეყნის წარმომადგენელი ერთმანეთის მონაცვლეობით მონაწილეობდა. ღონისძიების მთავარი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. ღონისძიების ფარგლებში LOVE RUN BATUMI CLUB-ის წევრებმა და მოხალისეებმა უკრაინელი ლტოლვილების მხარდასაჭერად ჰუმანიტარული დახმარება შეაგროვეს.

* * *

წინასაახალწლოდ აჭარაში მცხოვრებ უკრაინელ ბავშვებს ბათუმის თოჯინების თეატრში უმასპინძლეს. მოსწავლეები ომის დაწყების შემდეგ ბათუმში იმყოფებიან და სწავლას ქართული სკოლის უკრაინულ სექტორში აგრძელებენ. ბათუმის თოჯინების თეატრში საახალწლო სპექტაკლ „ზურმუხტქალაქის ჯადოქრის“ ჩვენება გაიმართა, რომელსაც ფონდ „იალქანის“ ბენეფიციარებიც დაესწრნენ. ღონისძიება აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით ჩატარდა.

* * *

საახალწლო ღონისძიებას უმასპინძლა რეაბილიტაციის ცენტრმა „თანამ“, ასევე, აღინიშნა „თანას“ დაარსებიდან 20 წელი და შეზღუდული შესაძლებლობის პირების დღის ცენტრის გახსნის 15 წელიც. დღის ცენტრის ბენეფიციარებს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ. გაიმართა კონცერტი.

* * *

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საახალწლო ნაძვის ხე აინთო. მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ მოქალაქეებს დამდეგი 2023 წელი მიულოცა. საახალწლო პროგრამის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც ადგილობრივი შემსრულებლები მონაწილეობდნენ. საახალწლო საღამოზე დაჯილდოვდნენ განათლების, კულტურის, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავე საიუბილეო თარიღის მქონე პირები. მუნიციპალიტეტში 25 დეკემბრიდან საახალწლო ღონისძიებები იმართება. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

* * *

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში ლიტერატურული ვიქტორინა მოეწყო, რომელიც მოიცავდა შეკითხვებს ახალგაზრდობის ცენტრში წლის განმავლობაში განხილული როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურიდან. საპრიზო ადგილებზე გასულ სამ ახალგაზრდას: მარიამ ბოლქვაძეს, ლანა ნუმანიშვილსა და მარი ქოქოლაძეს წიგნების მაღაზიის 100, 80 და 40-ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ საჩუქრად. ასევე, წახალისდნენ ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ახალგაზრდობის ცენტრის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებში. მათ წიგნების მაღაზიის 50-50-ლარიანი ვაუჩერები მიიღეს საჩუქრად. სულ ფასიანი საჩუქრით 13 ახალგაზრდა წახალისდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ინვესტიცია უსაფრთხოებასა და დემოკრატიაში“, ანუ რატომაა მნიშვნელოვანი დასავლური მხარდაჭერა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საუკუნეების განმავლობაში უკრაინა სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების გადაკვეთის ადგილი იყო, ხან ერთი იმპერია (რუსეთი) იპყრობდა, ხან მეორე (პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სახელმწიფო). ხშირად ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ უკრაინის დასაკუთრებისთვის

ეს გამოკვეთილი აგრესია განპირობებული იყო ამ ქვეყნის მნიშვნელობით. როგორც ამერიკელმა ანალიტიკოსმა და ყოფილმა ჩინოვნიკმა ბუეზინსკიმ თქვა - უკრაინის გარეშე რუსეთის იმპერია ვერ აღდგება, რაც გაცნობიერებული აქვთ როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს და ეს ურთიერთბრძოლა ახლა ინტენსიურად უკრაინაში მიმდინარეობს - მეათე თვეა, მსოფლიო, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომის რეალობაში ცხოვრობს... დასავლელი ანალიტიკოსები მართებულად აღნიშნავენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი არ არის. ეს ცივილიზაციური ომია დასავლეთსა და რუსეთს შორის. უკრაინაში წყდება არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოების, არამედ მსოფლიო მართლწესრიგის ბედიც - თუ უკრაინა დამარცხდა, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება, ამიტომაც ამოქმედდა ეკონომიკური სანქციები. უნდა ითქვას, დასავლეთის მხარდაჭერა რომ არა, ცხადია,უკრაინას გაუძნელდებოდა რუსეთის შეკავება. აქ ისმის კითხვა: შეეძლო თუ არა დასავლეთს ამ ომის თავიდან აცილება თუნდაც 2014 წლიდან მძლავრი სანქციების დაწესებით? დღეს უკვე რთულია, ვისაუბროთ, თუ რისი გაკეთება შეეძლებოდა, თუმცა, ფაქტია, რომ რუსეთთან დაშოშმინების პოლიტიკამ არ იმუშავა, პირიქით - აგრესიისკენ წაახალისა, არადა, ისტორიულად დასავლეთ ევროპას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, რომ ესმოდეს, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს „დაშოშმინების პოლიტიკამ“. ამ მხრივ დასავლეთმა შეცდომა ჯერ კიდევ 2008 წელს დაუშვა, ხოლო შემდეგი - 2014 წელს, როცა რუსულ აგრესიას მტკიცედ არ აღუდგა წინ თუნდაც მკაცრი ეკონომიკური სანქციებით. მაშინ დასავლეთმა, ასე ვთქვათ, თვალი დახუჭა რუსულ აგრესიაზე, რასაც შეეწირა საქართველოსა და მოლდოვის განუყოფელი ტერიტორიები, ახლა, როგორც გითხარით, უკრაინაა კრემლის სამიზნე. ძნელი არაა ვუპასუხოთ კითხვას: რატომ გადაწყვიტა რუსეთმა უკრაინაზე თავდასხმა, მით უფრო, 2014 წელს ყირიმის „შეუმჩნეველი“ ანექსიის შემდეგ?

საქმე ისაა, რომ უკრაინა დღითი დღე შორდებოდა რუსულ ორბიტას და ნატოს სტანდარტებს უახლოვდებოდა. ამ ომმა ეს თვალნათლივ გამოავლინა. გეოპოლიტიკურ ორთაბრძოლაში როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს მნიშვნელოვანი მიზნები აქვთ დასახული - რეგიონში დიდ ცვლილებებზე არიან კონცენტრირებულნი. რუსეთის ტრადიციული ინტერესია, აღიდგინოს 1991 წლის შემდეგ დაკარგული გავლენები ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში, შავ ზღვასა და კავკასიაში. ეს უკანასკნელი ევროპისთვის ალტერნატიული ენერგოტრანზიტისა და ახალი აბრეშუმის გზის „შუა კორიდორის“ მარშრუტის განვითარების მხრივ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ კვანძს წარმოადგენს. მოსკოვის თვალთახედვით, მისი მიზნების მისაღწევად აუცილებელია „ახალ სამეზობლოში“ რუსული გავლენის აღდგენა. ამისთვის იგი მოითხოვს არა მხოლოდ ევროატლანტიკური სტრუქტურების გაფართოების შეწყვეტას, არამედ მის 1997 წლის პოზიციაზე დახევას. რაკი ეს, პრაქტიკულად, დასავლეთის კაპიტულაციას ნიშნავს, ეს უკანასკნელი მასზე არ წავიდა.

ევროატლანტიკურ ალიანსს რეგიონში ორი მნიშვნელოვანი მიზანი აქვს: უზრუნველყოს ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოება; შექმნას რუსეთისგან დამოუკიდებელი, ალტერნატიული ენერგო და სავაჭრო-სტრატეგიული დერეფანი. ამისთვის აუცილებლია ნატოში მიიწვიონ ის ქვეყნები, რომლებსაც ცენტრალური აზიის რეგიონთან დამაკავშირებელი საზღვაო და სახმელეთო გზების განვითარების შესაძლებლობა აქვს. ამ თვალსაზრისით მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით დასავლეთი მიიღებს წმინდად „ევროპულ ენერგოდერეფანს“, რომლითაც შეძლებს რუსეთისგან დამოუკიდებელად კასპიის აუზის და ირანის ენერგომატარებლების ტრანსპორტირებას. ბუნებრივია, დასავლეთის გეგმები რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, კრემლისთვის მიუღებელია მისი ისტორიული გავლენის სფეროში თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა, ალტერნატიული, კონკურენტული სავაჭრო-სატრანსპორტო პოტენციალის განვითარება და ყოველივეს ხისტ ძალას უპირისპირებს. რეალურად რუსეთ-უკრაინის ომი ნატოს გაფართოების წინააღმდეგაა მიმართული.

ომის მეათე თვემ აჩვენა, რომ უკრაინელები შეუპოვარად იცავენ სამშობლოს და თავისუფალებას. უკრაინელი ხალხის წინააღმდეგობამ, ასევე, მოკავშირეთა ერთსულოვნებამ, მათმა სამხედრო-ეკონომიკურმა, დიპლომატიურმა და მსოფლიო საზოგადოების რეაქციებმა აჩვენა, რომ სოლიდარობას და თავისუფლებისკენ სწრაფვას ვერანაირი არმია და სამხედრო უპირატესობა ვერ გადაწონის, არადა, რუსეთს თავი მოჰქონდა, რომ მისი არმია მსოფლიოში მეორე იყო, თუმცა ათი თვეა, ის დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებს ვერ გასცდა, რაც ყველა პარამეტრით რუსეთის სისუსტეზე მიანიშნებს, რომელმაც საკუთარი ელიტური სამხედრო ნაწილები ხარკოვსა და მარიუპოლში დაკარგა. ახლა ანალოგიური გამოფიტვა ბახმუტში ხდება. ეს ქალაქი მეორე სტალინგრადად გადაიქცა, სადაც გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. გარდა ამისა, უკრაინამ ხერსონი გაათავისუფლა და თუ დასავლეთი შეტევით იარაღს მიაწვდის, არ არის გამორიცხული, ყირიმიც გაათავისუფლოს, მაგრამ საამისოდ დასავლეთი არ ჩქარობს. მიზეზი რუსეთის არაპროგნოზირებადობაა. მარცხის გარდაუვალობის გაცნობიერებამ მას შესაძლოა ბირთვული იარაღის გამოყენებისკენ უბიძგოს. ანალოგიური ვარაუდია გამოთქმული აშშ-ის ჟურნალ „თაიმში“, სადაც ამას წინათ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „პუტინმა ომში არ უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ ზედმეტად არც ზელენსკიმ უნდა მოიგოს“. „ომის მესამე ეტაპი დაიწყო უკრაინის არმიის ზღაპრული წარმატებით - ქალაქ ხერსონიდან რუსეთის ჯარის გაძევებით, რაც ქვეყნის სამხრეთშია მოპოვებული და პირველი კლასის სტრატეგიულ გამარჯვებას წამოადგენს, მაგრამ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს... ეს საფრთხე დასავლელი მეგობრები არიან. ნოემბერში ბაიდენის მრჩეველი ჯეკ სელივანი რუს კოლეგას შეხვდა კონფიდენციალური საუბრისთვის და ეს ინფორმაცია თეთრმა სახლმა საზოგადოებას აცნობა. როგორც ჩანს, ამით ვაშინგტონმა კიევსაც სიგნალი გაუგზავნა. როგორც ირკვევა, მათ ის კომპრომისები განიხილეს, რომლებზეც ბაიდენს შეუძლია წავიდეს, ანუ რაღაც დათმოს“, - აღნიშნულია ამ სტატიაში. ანალოგიური მესიჯი გაახმოვანა საფრანგეთის პრეზიდენტმაც: „რუსეთს სახე უნდა შეუნარჩუნდეს“, ანუ კომპრომისზე წავიდეს უკრაინა, მაგრამ ამ კუთხით საყურადღებო იყო ზელენსკის ამასწინანდელი ისტორიული ვიზიტი აშშ-ში, სადაც შეხვდა პრეზიდენტ ბაიდენს და ეპოქალური სიტყვით გამოვიდა კონგრესში. „თქვენი ფული არ არის ქველმოქმედება. ეს არის ინვესტიცია გლობალურ უსაფრთხოებასა და დემოკრატიაში, რომელსაც ჩვენ ყველაზე პასუხისმგებლობით ვეპყრობით. თქვენი მხარდაჭერა გადამწყვეტია არა მხოლოდ ასეთ ბრძოლაში, არამედ ბრძოლის ველზე გამარჯვების მისაღწევად გადამწყვეტ მომენტამდე მისვლისთვის“. სხვათა შორის, ზელენსკის ვიზიტი ამერიკაში ჩერჩილის მეორე მსოფლიო ომში ვიზიტის მსგავსად შეფასდა. მაშინ მან დაარწმუნა ამერიკა, ჩაბმულიყო მეორე მსოფლიო ომში, რამაც, პრაქტიკულად, გადაწყვიტა ომის ბედი. ანალოგიურად მოიქცა ზელენსკიც. სწორედ მისმა და უკრაინელი ხალხის შეუპოვრობამ აიძულა დასავლეთი, დახმარებოდა უკრაინას ამ ბრძოლაში. ნათქვამია, პიროვნებები ქმნიან ეპოქას. მართლაც, ომის დასაწყისში ზელენსკის რომ დაეხია, ახლა უკრაინა რუსეთის სატელიტი იქნებოდა, ამიტომ მოუწყვეს ეპოქალური დახვედრა ზელენსკის ამერიკაში. ეს ღიად ჩანდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ არსებობს კულუარული მოლაპარაკებები და გარიგებები, სადაც წყდება ამა თუ იმ ქვეყნის ბედი. ამის არაერთი მაგალითი არსებობს მსოფლიოს უახლეს ისტორიაში. რა თქმა უნდა, ზესახელმწიფოთა ლიდერები აშკარად ვერ განახორციელებენ ზეწოლას უკრაინაზე და ვერ უკარნახებენ, რა დათმოს და რა - არა, თუმცა მინიშნება აშკარად შესამჩნევია. დასავლეთს „ვასალის“ მორჯულება კარგად გამოსდის. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ აჭიანურებენ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას და სხვა, რაც, ცხადია, უკრაინის უპირობო გამარჯვებას დააყოვნებს. რუსეთს სურს, ომი გაყინოს და არსებული სტატუს-კვო შეინარჩუნოს, ანუ დაითანხმოს უკრაინა მოლაპარაკებაზე, არადა, ახლა, რაც უნდა უცნაური იყოს, ომის შეწყვეტა უკრაინისთვის იქნება სავალალო, ჯერ ერთი, სამხედრო მოტივაცია განულდება, მეორე - არ არის გამორიცხული, უკრაინის მთავრობაში შიდა განხეთქილებამ იმძლავროს. ამის ნიშნები დროდადრო შეიმჩნევა. ზავი ყოველთვის დასუსტებული მხარის წისქვილზე ასხამს წყალს, შესაბამისად, პაუზა რუსეთის არმიას მისცემს საშუალებას, თავისი რიგები ცოცხალი ძალითა და ტექნიკით შეავსოს. ამას კარგად ხედავენ უკრაინელები და ცდილობენ, მაქსიმალურად სწრაფად გაათავისუფლონ ოკუპირებული ტერიტორიები, რათა მოლაპარაკებების მაგიდასთან უპირატესობა ჰქონდეთ. და მაინც, უკრაინისთვის ომის სასურველად დასრულება რა ფაქტორებზეა დამოკიდებული? უპირველესად, უკრაინელების თავგანწირვაზე, თუმცა, როგორც ვთქვით, არანაკლებ მნიშვნელოვანია დასავლეთის მხარდაჭერა და ერთიანობა. მოკლედ, უკრაინის ომი დასრულდება მაშინ, როდესაც რუსეთი მიხვდება, რომ ომის წარმოებისთვის არ აქვს არც ნება და არც საკმარისი სამხედრო ძალა, მეტწილად კი მაინც დასავლეთზე იქნება დამოკიდებული ომის ბედი. მათ ისტორიული შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვან და ყველაფერი გააკეთონ უკრაინის გამარჯვებისთვის, რომელიც მათი უსაფრთხოებისთვისაც იბრძვის. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვაშინგტონში ისაუბრა და დასავლეთი კვლავ მისი ქვეყნის მხარდაჭერაში დაარწმუნა, რადგან, როგორც მან თქვა: რუსეთ-უკრაინის ომი ცივილიზაციათა ომია, ომი - სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიკეთეს უკრაინა, ბოროტებას კი რუსეთი განასახიერებს.

> **„ზავი ყოველთვის დასუსტებული მხარის წისქვილზე ასხამს წყალს, შესაბამისად, პაუზა რუსეთის არმიას მისცემს საშუალებას, თავისი რიგები ცოცხალი ძალითა და ტექნიკით შეავსოს. ამას კარგად ხედავენ უკრაინელები და ცდილობენ, მაქსიმალურად სწრაფად გაათავისუფლონ ოკუპირებული ტერიტორიები, რათა მოლაპარაკებების მაგიდასთან უპირატესობა ჰქონდეთ**

უცხოეთი

ევროკომისიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ფრანს ტიმერმანსი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც დიქტატორი ადოლფ ჰიტლერი 1943 წელს იყო, როდესაც მან უკვე წააგო ომი, მაგრამ ის კიდევ ორ წელს გაგრძელდა. „პუტინმა უკვე წააგო ომი. ის ცდებოდა უკრაინელების გამძლეობაზე. ვერავინ ბედავს მისთვის სრული სიმართლის თქმას, მათ შორის, მისი ჯარის მდგომარეობის შესახებ. პუტინს შეუძლია, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შექმნას ქაოსი. აქედან გამომდინარეობს უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაბომბვა ხალხის გაღარიბების განზრახვით, რომ მილიონობით ადამიანი ევროპაში ჩამოვიდეს“, - აღნიშნა ტიმერმანსმა.

* * *

ბელარუსში რუსეთის მიერ მიწოდებული „ისკანდერის“ ტაქტიკური სარაკეტო სისტემები და C-400 ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემები განლაგებულია და მზად არის დასახული ამოცანების შესასრულებლად, - განაცხადა ბელარუსის თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ლეონიდ კასინსკიმ. „ჩვენმა სამხედროებმა, ეკიპაჟებმა დაასრულეს წვრთნა რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთობლივ საბრძოლო მომზადების ცენტრებში. ამ ტიპის იარაღი საბრძოლო მოვალეობას ასრულებს და მზად არის, შეასრულოს ამოცანები დანიშნულებისამებრ“, - აცხადებს ლეონიდ კასინსკი. მას არ დაუკონკრეტებია, რამდენი „ისკანდერის“ სისტემა განთავსდა ბელარუსში. „ისკანდერი-M“ არის მართვადი სარაკეტო სისტემა, მისი მოქმედების დიაპაზონი 500 კმ-მდეა და შეუძლია ჩვეულებრივი ან ბირთვული ქობინების ტარება.

* * *

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, დასავლეთი უკრაინის კრიზისში შუამავლის როლის შესრულებას არ შეეცადა. „სამწუხაროდ, დასავლეთმა მხოლოდ პროვოკაციის ელემენტები გააააქტიურა და არ შეეცადა, შუამავალი ყოფილიყო. ჩვენ ეს როლი 2022 წელს ავიღეთ შავი ზღვის მარცვლეულის დერეფანთან დაკავშირებით“, - განაცხადა ერდოღანმა. მისი თქმით, ევროპამ მიიღო უკრაინული მარცვლეულის 44%, თურქეთმა - 16% აფრიკის ქვეყნებმა კი 14%.

* * *

ქვეყნის პრეზიდენტის სურვილის საწინააღმდეგოდ, ბულგარელმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს უკრაინაში სამხედრო დახმარების გაგზავნას. ბულგარეთის პრეზიდენტმა რუმენ რადევმა თავისი ქვეყნის მიერ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაგზავნა გააკრიტიკა და პოლიტიკოსებს, რომლებმაც აღნიშნულს მხარი დაუჭირეს, „ომის წამქეზებლები“ უწოდა. „სამწუხაროდ, ომის წამქეზებლებმა პარლამენტში გადაწყვიტეს უკრაინისთვის დიდი რაოდენობით სამხედრო დახმარება“, - აღნიშნა რადევმა. მისივე თქმით, უკრაინის დახმარების პაკეტში არ შედის თვითმფრინავები, საჰაერო თავდაცვის სისტემები ან ტანკები, რადგან ეს ბულგარეთის შეიარაღებული ძალების ძლიერებას შეასუსტებდა.

მოამზადა
ია შველიძემ

მეცნიერებათა აკადემიამ შუშანა ფუტკარაძე და აკაკი ბერიძე საპატიო სიგელებით დააჯილდოვა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქალაქის ინტელიგენციის, „სახალხო აკადემიისა“ და აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტ გიორგი კვესიტაძეს შეხვდნენ.

მან შეხვედრის დასაწყისში ქვეყნის წინაშე არსებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრაში შეტანილი წვლილისთვის მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე საპატიო სიგელით დააჯილდოვა. როგორც გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, მისთვის პატივია ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანის დაჯილდოება, როგორიც ქალბატონი შუშანაა. მანვე მედიცინის, კერძოდ, ქირურგიის განვითარებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის საპატიო სიგელი გადასცა აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარეს, ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ კონსულტანტ-პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს აკაკი ბერიძეს.

- ჩემს ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სასიხარულო დღეა. ღმერთმა დალოცოს ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი. ვისურვებდი, რომ მომავალში ჩემზე უკეთესი მკვლევარები ჰყოლოდეს ჩემს კუთხეს, ქვეყანას. ჩვენ ძველი კულტურის მქონე ხალხი ვართ და მსოფლიოს წინაშე უფრო მეტად წარმოჩენა სჭირდება ამ კულტურას, ენას, ყოფა-ცხოვრებას. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადონ საქართველოს ისტორია, რათა უფრო მეტად გვცენ პატივი და გვაღიარონ.

„მომავალში ჩემზე უკეთესი მკვლევარები ჰყოლოდეს ჩემს კუთხეს, ქვეყანას. ჩვენ ძველი კულტურის მქონე ხალხი ვართ და მსოფლიოს წინაშე უფრო მეტად წარმოჩენა სჭირდება ამ კულტურას, ენას, ყოფა-ცხოვრებას. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადონ საქართველოს ისტორია, რათა უფრო მეტად გვცენ პატივი და გვაღიარონ“

- ბათუმში ფუნქციონირებს სახალხო აკადემია, რომელიც ალი სამსონიამ თანამოაზრეებთან ერთად დააარსა, თუმცა, „აკადემია“ მას ხალხმა და ქალაქმა შეარქვა, რადგან იქ დიდებული ადამიანები იყრიდნენ თავს მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. აკადემიას ჰყავდა ღირსეული პრეზიდენტები: ალი სამსონია, ლევან ღლონტი. ამჟამად მისი პრეზიდენტი გახლავთ ასლან კაკაბაძე, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ხელისუფლებამ „სახალხო აკადემიას“ გამოუყო ფართი. ბატონმა ასლანმა მოიწვია საქართველოს ეროვნილი აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, მასთან ერთად გვეწვია ცნობილი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჯანდაცვის მინისტრი გახლდათ და ჯანდაცვის სფეროში წარმატებული რეფორმები განახორციელა. დღევანდელი შეხვედრა ბევრი რამით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი კი ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის დაჯილდოებაა, ღირსეული მეცნიერისა და ადამიანის, რომელმაც ქართული გენის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, ენა შეისწავლა მეზობელ ქვეყნებში და გამოსცა შესანიშნავი სახელმძღვანელოები. დიდი მადლობა დღევანდელი შეხვედრის თითოეულ მონაწილეს, - თქვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **აკაკი ბერიძემ**.

„დღევანდელი შეხვედრა ბევრი რამით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი კი ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის დაჯილდოებაა, ღირსეული მეცნიერისა და ადამიანის, რომელმაც ქართული გენის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, ენა შეისწავლა მეზობელ ქვეყნებში და გამოსცა შესანიშნავი სახელმძღვანელოები“

შეხვედრაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ ქვეყანაში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე მოხსენება წაიკითხა.

- დავაჯილდოვეთ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ქალბატონი შუშანა და ბატონი აკაკი. კიდევ ერთხელ, თქვენი გაზეთის საშუალებით ვულოცავ ამ ორ არაჩვეულებრივ ადამიანს დამსახურებულ ჯილდოს. თუმცა, ვთვლი, რომ მათ ყველაზე დიდი ჯილდო - ქვეყნისა და საზოგადოების სიყვარული, დიდი ხანია დაიმსახურეს. შეხვედრაზე მოხსენებით წარვსდექი ისეთი მნიშვნელოვანი თემით, როგორიცაა ეკოლოგია და ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარას ამ მხრივ, ჯერჯერობით, საფრთხე არ ემუქრება, თუმცა აუცილებელია გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის. მოგეხსენებათ, წყლის უკმარისობა, დაბინძურება, არაერთი დაავადების წარმოქმნა და სხვა, არის ბუნების იმუნური სისტემის დაქვეითების შედეგი. პირველად საქართველოში შეიქმნა გლობალური ბიოლოგიური კონცეფცია, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში უნდა შეძლოს ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებული ვითარების გარკვეული შემსუბუქება. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა სელექციურად შერჩეული მცენარეებისა და მიკროორგანიზმების გამოყენებაა, რომლებიც ძალიან აქტიურად შლიან ტოქსიკურ ნაერთებს, ისეთ ძლიერს და სტაბილურს, რომელიც არაბიოდეგრადირებადია. აღნიშნულ თემაზე წიგნი დავწერეთ, რომელიც 5 ენაზე ითარგმნება. აუცილებელია გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის. მოგეხსენებათ, წყლის უკმარისობა, დაბინძურება, არაერთი დაავადების წარმოქმნა და სხვა, არის ბუნების იმუნური სისტემის დაქვეითების შედეგი. პირველად საქართველოში შეიქმნა გლობალური ბიოლოგიური კონცეფცია, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში უნდა შეძლოს ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებული ვითარების გარკვეული შემსუბუქება. ამ ორ არაჩვეულებრივ ადამიანს დამსახურებულ ჯილდოს. ეროვნულ ბანკს ეროვნული ვალუტა ეროვნული ბანკ

„აუცილებელია გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რაც ეკოლოგიურ მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის. მოგეხსენებათ, წყლის უკმარისობა, დაბინძურება, არაერთი დაავადების წარმოქმნა და სხვა, არის ბუნების იმუნური სისტემის დაქვეითების შედეგი. პირველად საქართველოში შეიქმნა გლობალური ბიოლოგიური კონცეფცია, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში უნდა შეძლოს ეკოლოგიური თვალსაზრისით არსებული ვითარების გარკვეული შემსუბუქება“

ლებლად უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ ის რეკომენდაციები, რაც ამ წიგნში წერია, რათა კატასტროფის წინაშე არ დავდგეთ, - განაცხადა აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ**.

გამარჯვებული მოსწავლე დაჯილდოვეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ 2022 წლის გამარჯვებული საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის XI კლასის მოსწავლე ლადო ფუტკარაძეა, აჭარის მთიანეთში ის პირველი მოსწავლეა, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია.

მედიაპროექტ „ეტალონის“ ხელმძღვანელი გოჩა ტყეშელაშვილი შუახევის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა. მან ლადოს წარმატება მიულოცა და დიპლომი და სასწავლო ტექნიკის შესაძენად ათასლარიანი ვაუჩერი გადასცა. 500 ლარის ფულადი ჯილდო თანახეობელ წარმატებულ მოსწავლეს საქველმოქმედო ფონდ „შუბანის“ გამგეობის წევრმა ზაზა ჯაფარიძემ გადასცა.

სახელდახელოდ გამართულ ღონისძიებაზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, კლასის ხელმძღვანელმა ირმა აბულაძემ, ბაბუა ჯემალ ბერიძემ, მამა ფრიდონ ფუტკარაძემ ლადოს გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. ლადოს ზვიად გამსახურდიას ლექსით „პატრიარქი“ მიესალმნენ გოჩა ტყეშელაშვილის შვილიშვილები დავით გეგელაშვილი და ალექსანდრე კახიანი.

- შუახევში შვილიშვილებთან ერთად ჩამოვედი. ჩემი მიზანია, მომავალ თაობას ერთმანეთი შევაყვარო, ეტალონის დანიშნულება კი ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენა და საქართველოს სამსახურში ჩაყენებაა, - გვითხრა ბატონმა გოჩამ.

2025 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე ყველა კლინიკა საერთაშორისო აკრედიტაციას გაივლის

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა, 2025 წლის იანვრიდან ყველა სამედიცინო კლინიკას, ვინც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობს, საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის ვალდებულება ექნება. აზარაშვილის თქმით, უწყება ასევე აქტიურად მუშაობს სამედიცინო აღჭურვილობის და სამედიცინო სახარჯი მასალების რეგულირების საკითხზე.

„მთავრობის დადგენილებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 2025 წლის იანვრიდან, ყველა სამედიცინო კლინიკას, სტაციონარს, ვინც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობს, ექნება ვალდებულება, საერთაშორისო აკრედიტაცია გაიაროს. ეს იქნება ჩვენ მიერ შეთავაზებული 5 მაკრედიტირებელი საერთაშორისო კომპანიიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ამ აკრედიტაციის შემთხვევაში ექნებათ მათ შესაძლებლობა, გააგრძელონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა. ასევე, აქტიურად ვმუშაობთ (უბრალოდ, ამ მთავრობის სხდომაზე ამის გამოატანა ვერ მოესწრო და ვფიქრობ, მომდევნო მთავრობაზე გამოვიტანთ) სამედიცინო აღჭურვილობის და სამედიცინო სახარჯი მასალების რეგულირების საკითხზე, რომელიც გვინდა, 2024 წლიდან სავალდებულოდ შემოვიდეს და ქვეყანაში წარმოებული თუ იმპორტირებული ნებისმიერი სამედიცინო აღჭურვილობა თუ სახარჯი მასალა მკაცრად გაკონტროლდება. ეს არის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ერთ-ერთი ნაწილი და ამიტომ არის მნიშვნელოვანი“, - განაცხადა მინისტრმა.

ამირან გურიელიძე

ასანთის ღერების არქიტექტორი – ბათუმიდან

დარინა ბაბაიძე 27 48 93

„დავასრულე ყველაზე მასშტაბურ და რთულ კონსტრუქციაზე მუშაობა. „საკრუიზო ლაინერი“ აშენებულია 100 000 ასანთის ღერისგან (2230 კოლოფი). მოდელი - Royal Caribbean. გემზე განთავსებულია სკვერი, ვერტმფრენი, მანათობელი კონსტრუქცია, რესტორანი. დამჭირდა 3 თვე... აღნიშნულმა კონსტრუქციამ მოხსნა სიზუსტისა და ასანთის ღერების რაოდენობის ყველა წინამორბედი რეკორდი“, - ამბობს ალექსანდრე აბუსელიძე.

იგი 19 წლისაა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. ამავდროულად ქალაქ ბათუმის მერის ახალგაზრდა მრჩეველი და ახალგაზრდული საბჭოს წევრია. დღეს იგი თავის უჩვეულო და საინტერესო ნაშრომთან დაკავშირებით გვესაუბრება.

- როდის დაიწყე ასანთის ღერებით დიდი კონსტრუქციების შექმნა?

- სამი წლის წინ, ზაფხულში მქონდა თავისუფალი დრო, როდესაც ინტერნეტში ვიდეო ვნახე, სადაც ნაჩვენები იყო სხვადასხვა სახის მაკეტების ასანთის ღერებისგან შექმნა. გადავწყვიტე, მე უფრო მასშტაბური კონსტრუქციები ამეგო. პირველი იყო, თუ როგორ შეიძლება „საზაფხულო სახლი“, რომელიც 15 000 ასანთის ღერისგან ავაგე.

- როგორც ვხედავ, უკვე დაოსტატდი ამგვარი მაკეტების შექმნაში.

- კი, დაგეთანხმებით, უკვე პროფესიონალურ დონეზე ავედი. ერთი წლის წინ ზუსტად 3 კვირაში ავაწყვე „ვიზ აირის თვითმფრინავი“, რომელშიც გამოვიყენე 21 000 ასანთის ღერი. ამ მაკეტმაც ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მახარებს ის ფაქტი, რომ საქართველომ გამიცნო, როგორც „ასანთის ღერების არქიტექტორი“.

- რას ურჩევ ახალგაზრდებს?

- საკუთარ თავზე რაც შეიძლება მეტი იმუშაონ, ინტერესის მეტი სფერო ჰქონდეთ, სხვადასხვა მიმართულებით აირჩიონ პროექტები. მთავარია, მოტივაცია არ დაკარგონ.



- აპირებ სწავლას ან სტაჟირებას არქიტექტურის მიმართულებით?

- კი, ვაპირებ, უცხოეთში. აღნიშნული მაკეტების მშენებლობას გავაგრძელებ და ვფიქრობ, მომავალში ავაშენო კოსმოსური რაკეტა, რომელიც ძალიან მაღალი კონსტრუქცია იქნება და ალბათ, ამისთვის ნახევარ წელზე მეტი დამჭირდება.

- რა არის მაკეტის შექმნის აუცილებელი პირობა?

- აუცილებელია ნებისყოფა, ასევე სიმეტრიის დაცვა და ფორმების სწორად გამოჭრა. როდესაც შედეგზე ხარ ორიენტირებული, შრომის პროცესიც სასიამოვნო ხდება.

- სამი წლის განმავლობაში რამდენი ნამუშევარი გაქვს აგებული?

- 3 წლის განმავლობაში 7 ნამუშევარი შევქმენი, ესენია: „საზაფხულო სახლი“ 15 000 ასანთის ღერით, „ემპაირ სთეით ბილდინგი“ - 10 000 ასანთის ღერით, „ბიგ ბენი“ - 8 000 ასანთის ღერით, რომლისთვისაც 2 თვე დამჭირდა, სკოლა „ნიკე“ (სადაც მე ვსწავლობდი) 41 000 ასანთის ღერით - 5 თვე, „ელექტრონული წისქვილი“ 10 000 ასანთის ღერით - 2 თვე, „ვიზ აირის თვითმფრინავი“ - 21 000 ასანთის ღერით - 3 კვირა და ჯერჯერობით ჩემი ბოლო ნამუშევარია „საკრუიზო ლაინერი“.

- სამომავლოდ ხომ არ ფიქრობ, ამას კომერციული სახე მისცე?

- კი, სამომავლოდ, როდესაც უფრო მეტი თავისუფალი დრო მექნება, ავიღებ შეკვეთებსაც. „საკრუიზო ლაინერი“ იქნება პირველი კონსტრუქცია, რომელსაც გავყიდი უახლოეს მომავალში. თავად Royal Caribbean-ის ფირმა, სავარაუდოდ, იყიდის ამ მაკეტს, რადგან დამიკავშირდა ერთ-ერთი კომპანიის საკრუიზო ლაინერის ფირმის მეზღვაური, რომელმაც თქვა, რომ აუცილებლად დავუკავშირდე Royal Caribbean-ს.

უკრაინა

რუსულმა ძალებმა შობის დღეს უკრაინის წინააღმდეგ 40-ზე მეტი სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს. ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალები ავრცელებს. მათივე ცნობით, გასული დღის განმავლობაში ოკუპანტებმა უკრაინის ლუგანსკის, დონეცკის, ხარკოვის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ათობით ქალაქი დაბომბეს. ამასთან, უკრაინული მხარე აცხადებს, რომ ხერსონის მიმართულებით რუსული ძალები აგრძელებენ მდინარე დნიპროს მარჯვენა სანაპიროზე დასახლებული ტერიტორიების საარტილერიო დაბომბვას. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 25 დეკემბერს კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ღიაა მოლაპარაკებებისთვის. მან მოლაპარაკებების ჩაგდებაში უკრაინა და მისი დასავლელი მოკავშირეები დაადანაშაულა. რუსეთის პრეზიდენტს უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პუტინი უნდა დაბრუნდეს რეალობაში და აღიაროს, რომ რუსეთს მოლაპარაკება არ სურს.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი აცხადებს, რომ რუსი ომის დამნაშავეებისთვის არ არსებობს ღმერთი. რეზნიკოვი „ტვიტერზე“ ეხმაურება ხერსონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ერთადერთი ეკლესიის დაბომბვას და აცხადებს, რომ რუსებისთვის არ არსებობს არც რელიგიის პატივისცემა. „ერთადერთი ეკლესია სოფელ კისილივკაში (ხერსონის რაიონი) სრულად განადგურდა რუსული დაბომბვის შედეგად. ჰააგის IV კონვენცია რელიგიურ შენობებს საომარი მოქმედებების დროს იცავს, მაგრამ რუსი ომის დამნაშავეებისთვის არ არსებობს ღმერთი და არც რელიგიის პატივისცემა“, - წერს უკრაინის თავდაცვის მინისტრი.

* * *

გერმანიამ უკრაინას სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი გადასცა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, დახმარების ახალ პარტიაში შედის ჯავშანტექნიკის სარემონტო-საევაკუაციო მანქანა Bergerpanzer 2. აღსანიშნავია, რომ გერმანიამ უკრაინას მეცამეტე Bergerpanzer 2 გადასცა. Bergerpanzer 2 შეიქმნა საბრძოლო ტანკ Leopard 1-ის ბაზაზე. ის უზრუნველყოფს ბრძოლაში დაზიანებული მანქანების აღდგენას. გარდა ამისა, გერმანიამ უკრაინას გაუგზავნა სასაზღვრო სამსახურის 13 მანქანა, სასწრაფო დახმარების ერთი და ორი სატვირთო მანქანა.

* * *

სულ რამდენიმე დღე დარჩა ამ წლის დასრულებამდე. უნდა ვიცოდეთ, რომ მტერი შეეცდება, ეს დრო ჩვენთვის ბნელ და რთულ დროდ აქციოს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, სიბნელე ხელს ვერ შეუშლის უკრაინას ოკუპანტების დამარცხებაში. „რუსეთმა წელს ყველაფერი დაკარგა, რაც შეეძლო. მაგრამ ის ცდილობს ანაზღაუროს თავისი დანაკარგები პროპაგანდისტებში ღვარძლის გამოწვევით ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ენერგეტიკულ სექტორზე სარაკეტო დარტყმის განხორციელების შემდეგ. ვიცი, რომ სიბნელე ხელს ვერ შეგვიშლის ოკუპანტების დამარცხებაში, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი სცენარისთვის. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ დღეებში საჰაერო განგაშს, კვლავ მოძებნეთ და დაიმახსოვრეთ სად მდებარეობს უახლოესი „უძლეველობის პუნქტი“. აუცილებლობის შემთხვევაში უთხარი მშობლებს, როგორ იპოვონ „უძლეველობის პუნტი“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით უკვე 5500-ზე მეტი „უძლეველობის პუნტი“ გაიხსნა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩევლის მიხაილო პოდოლიაკის განცხადებით, ვლადიმერ პუტინი საკუთარ ილუზიურ სამყაროში ცხოვრობს და არ ესმის უკრაინაში დაწყებული ომით გამოწვეული ვითარება. პოდოლიაკის თქმით, რუსული საზოგადოება და სამხედროები იმავე მოჩვენებით სამყაროში ცხოვრობენ, მაგრამ მათ ასევე ესმით, რომ „საქმეები გეგმის მიხედვით არ მიდის“. „მათ ესმით, რომ საქმეები გეგმის მიხედვით არ მიდის. ეს გასაგებია. სამხედროებს კი, პირველ რიგში, ესმით, რომ რეალურად მათი ქვეყანა გაძარცვულია. მათ ესმით, რომ მსოფლიოს მეორე არმია და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომლისაც ყველას უნდა ეშინოდეს, არ არსებობს. მათ ესმით, რომ უკრაინაზე თავდასხმა ნამდვილად არ იყო საჭირო, რადგან ეს არის ქვეყანა, რომელიც აუცილებლად დაასრულებს ამ ომს და ეს იქნება ის, რაც მათ აბსოლუტურად არ მოეწონებათ“, - აღნიშნა პოდოლიაკმა. მისი თქმით, რუსებს ეს ქვეცნობიერის დონეზე ესმით. თუმცა არის რაღაცები, რაც რუსეთის ფედერაციის მოსახლეობას საერთოდ არ ესმის. „მათ არ ესმით, რომ სასჯელის გარდაუვალობა არის ცივილიზაციის, როგორც ასეთის არსებობის მთავარი ელემენტი“, - აღნიშნა პოდოლიაკმა. რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, პოდოლიაკის განცხადებით, ის არის ცინიკური ადამიანი, რომლის აზროვნების არსია ზიანი მიაყენოს ვინმეს.

* * *

უკრაინა გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მომავალი ყოფნის საკითხის დაყენებას გეგმავს, - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა. მისი თქმით, რუსეთს ამ ორგანიზაციაში ყოფნის უფლება არ აქვს. „ჩვენ ოფიციალურად გამოვალთ ამ პოზიციით. ჩვენი შეკითხვა ძალიან მარტივია: აქვს თუ არა რუსეთს უფლება, დარჩეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად და იყოს, ზოგადად, გაეროში? ჩვენ გვაქვს დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი - არა, არა აქვს“, - აღნიშნა კულებამ.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ უარყოფს მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ვარიანტს, ჩვენ არ ვაპირებთ საუბარს კიევის ხელისუფლების მიერ წამოყენებული წინაპირობებით, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხაილ გალუზინმა განაცხადა. „კიევის ამჟამინდელი რეჟიმის გადაწყვეტილებებისა და ქმედებების სრული არაადეკვატურობა, რომლის პოლიტიკოსები გამოირჩევიან დაუდევრობით, მოლაპარაკების უუნარობით და აშკარა რუსოფობიით, აშკარაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ უარყოფს მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ვარიანტს, ჩვენ არ ვაპირებთ საუბარს კიევის ხელისუფლების მიერ წამოყენებული წინაპირობებით. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ კიევისა და მისი დასავლელი მარიონეტების მზადყოფნაზე, კრიზისი პოლიტიკური და დიპლომატიური გზით გადაჭრან“, - აღნიშნა მიხაილ გალუზინმა. მისი თქმით, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის სამშვიდობო ინიციატივები სრულიად მიუღებელია. „უკრაინის ლიდერის წინადადება უკრაინის ტერიტორიიდან რუსული ძალების საშობაოდ გაყვანის შესახებ, ასევე, აბსურდულია. გაურკვეველია, რამდენად შეესაბამება ყველა ეს ლოზუნგი და მოწოდება ზელენსკის 30 სექტემბერს ხელმოწერილ განკარგულებას, რომლის თანახმადაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკება შეუძლებელია“, - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

მოამზადა
ნაირა ზუტკარაძემ

წყალტუბოს ახალი სიცოცხლისთვის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო იმ მიზნობრივ ინვესტიციას მიიღებს, რომელიც საჭიროა წყალტუბოს გასაცოცხლებლად.

„ჩვენ გვქონდა მოლაპარაკებები კატარულ საინვესტიციო ჯგუფთან „წყალტუბოს ახალი სიცოცხლის ფარგლებში“, ეს არის პროექტი, რომელიც საზოგადოებამ წლის განმავლობაში გაიგო. ჩვენ გვქონდა პრეზენტაცია და არაერთი შეხვედრა ბიზნესთან. აუქციონზე გამოტანილი იყო ობიექტები, რომლებიც სახელმწიფოსთან ერთად შეისწავლა უძრავი ქონების ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა კომპანიამ. შესაბამისად, ჩვენ ამაზე ინფორმაცია მივაწოდეთ ბიზნესს. რამდენიმე ობიექტის გაყიდვა, რეალიზაცია და საინვესტიციო შეთანხმება მოხდა ქართველ ინვესტორებთან. ამ შემთხვევაში ჩვენ გვყავს უცხოელი ინვესტორი, რომელიც სასტუმროს ბიზნესშია და მათ აქვთ საკმაოდ ამბიციური გეგმები „წყალტუბოს ახალი სიცოცხლის ფარგლებში“, რომ მაღალი დონის სასტუმრო, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა შეიქმნას. იქნება როგორც სამ, ოთხ, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები, სადაც იქნება ძალიან მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილი გამაჯანსაღებელი და სპორტული კომპონენტები იმ კვლევის და შესწავლების შესაბამისად, რაც კოლიაჟთან ერთად გავაკეთეთ და, ამ შემთხვევაში, მივიღებთ ზუსტად იმ მიზნობრივ ინვესტიციებს, რომლებიც გვჭირდებოდა წყალტუბოს გასაცოცხლებლად და ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მიმზიდველ ტურისტულ ცენტრად გადასაქცევად... იცით, რომ მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ის, რომ სახელმწიფომ მოახდინა ძირითადი რესურსის, სამკურნალო წყლების გამოსყიდვა. დღეს ეს წყლები ხელმისაწვდომია როგორც კერძო პირებისთვის, ვინც დაინტერესებულია, უბრალოდ, მომსახურება მიიღოს წყალტუბოში და საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა მიმდინარე წლის განმავლობაში ეს საოპერაციო საქმიანობა, ასევე, ყველა იმ დაინტერესებული ბიზნესისთვის, რომელიც წყალტუბოში განახორციელებს ინვესტიციებს და მართლაც ამ გამაჯანსაღებელ ინფრასტრუქტურას განაახლებს, ისევე, როგორც - წარსულში და საკმაოდ პოპულარული იყო. ასე რომ, აქაც ჩვენი ხუთი ობიექტის განვახორციელებთ და ეს იქნება მინიმუმი. საპრივატიზაციო თანხა არის 12-დან 35 მილიონამდე საინვესტიციო ვალდებულებებით... მინიმუმ ვალდებულებებზე მეტს კომპანია/ინვესტორი განახორციელებს“,- განაცხადა დავითაშვილმა.



ამირან გურიელიძე

«ჩემი საფიქრალი მხოლოდ საქართველოა»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანიაკეთის მკვიდრია ძალოვანი სტრუქტურების თადარიგის მაღალი რანგის ოფიცერი ზია საბინაძე, რომელსაც მალე 65 წელი უსრულდება. ბატონი ზია ლექსებსაც წერს და უკვე კრებულიც გამოსცა. იგი ჩვენი სტუმარია

- იშვიათობაა, ძალოვანი სტრუქტურების ოფიცერი პოეზიას შეეჭიდოს... თქვენი განვლილი გზა ლექსებში თუ ჩანს?

- ჩემს ლექსებს მთის ჯანსაღი გარემო კვებავს, ყველა მათგანში სამშობლოსა და მის მომავალზე ფიქრი იკვეთება. მიწის მუშა ვიყავი. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში გავაგრძელე. 1983 წლიდან ძალოვან სტრუქტურებში ვარ. გავიარე გზა რიგითი ინსტრუქტორიდან ხულოს რაიონული განყოფილების უფროსის თანამდებობის ჩათვლით. ძალოვან სტრუქტურებში მუშაობას ფუჭად

- ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობის მკვიდრს, სანიმუშო მაგალითად ნოდარ ძირკვაძე, ზურაბ გელაძე გყავდათ...

- ჩემი თაობის მანიაკეთელი, დიოკნისელი, ბეღლეთელი მოსწავლეებისთვის დიდი ბედნიერება იყო ნოდარ მასწავლებლის გაკვეთილების მოსმენა. მისი ცხოვრების გზა კატაკლიზმებით იყო სავსე. 60 წელს მიღწეული ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ ერთი შემოქმედებითი საღამოს გადახდაც არ აღირსეს. წიგნის გამოცემა რომ ვერ შეძლო, ხელნაწერი კრებული დატოვა. ქვეყანას, კუთხეს მრავალი ქველმოქმედი ჰყავს, ისეთები, როგორებიც ნადიმ ხმალაძე და ზურაბ ახალაძე არიან, რომლებმაც წიგნის გამოცემაში უანგარო თანადგომა გამიწიეს. ეგებ ვინმემ ითავოს და ნოდარ ძირკვაძის შემოქმედება, ერთ წიგნად აკინძული, საზოგადოებას დაუტოვოს. ჩემი და ყველა თანახეობელის მადლობა ზურაბ გელაძის შვილს, მიხეილს, რომ მამის შემოქმედება არ გაადნენ. სხვებთან ერთად, იმ რეჟიმს მეც დავუპირისპირდი... საქველმოქმედო საზოგადოება «სამშობლოს» ხელმძღვანელი ვარ.

- წელს ასოციაცია «ვეტერანიც» დააფუძნეთ...

- მადლობა გაზეთ «აჭარას», რომ მასმედიის საშუალებებიდან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჩვენი ასოციაციის დაფუძნებას. ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი რაჟდენ ფუტკარაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი და მე, წლების განმავლობაში ერთად ვსაქმიანობდით, ის - შუახევში, მე - ხულოში. ის მეგობრობა და ურთიერთობები ახლაც გრძელდება. პირველად ის ავიყოლიე, რომ ასოციაცია «ვეტერანი» დაგვეარსებინა. ახლა ჩვენი რიგები 15-მდე წევრს ითვლის. ორგანიზაციამ, პირველ რიგში, საქმე უნდა აკეთოს. ამიტომ პირველ ეტაპზე ჩემს მეგობარს, შშმ პირს, თადარიგის გენერალ გიგა არველაძეს შევეხმიანე. გიგა გია ყარყარაშვილის თანამებრძოლია. მას ქვედა კიდურები დაკარგული აქვს. მან საქმეში საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის დირექტორი კობა კობალაძე ჩართო. მათ საწყის ეტაპზე ფუტკრისა და თხის მოვლა გვირჩიეს. ამ დღეებში ზანური ჯიშის 8 თხა გადმოგვცეს საჩუქრად. ისინი კარგად ეგუებიან მთის მკაცრ კლიმატს. გაზაფხულზე, უსასყიდლოდ, კიდევ 30 თხას თიკნებიანად ჩამოგვიყვანენ. ჩემი ძმა რომანი (ოთხი დედამიშვილი ვართ, 2 ძმა, 2 და), ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ იჯარეთში ცხოვრობს. ფუტკრის მოვლა-პატრონობა კარგად იცის. უსასყიდლოდ გადმოცემული ფუტკრის ოჯახები თავდაპირველად მასთან დავაბინავეთ. ტერიტორიის ათვისება გოდერძის ალპური ბაღის ან კურორტ გოდერძის შემოგარენში ვაპირებთ და იქ ფუტკრის ოჯახს სეზონურად დავაბინავებთ. მანიაკეთშიც კარგად ხარობს ფუტკარი.

- პოლიტიკამ უკანა პლანზე გადაიწია?

- ერთი წუთითაც არ ვაპირებ პოლიტიკისგან ჩამოშორებას. ქვეყანას უმადურებს და არაკაცებს საჯიჯგნად ვერ დავუტოვებ. სამი შვილის მამას, შვილიშვილების ბაბუას, დამშვიდებული და დაწყნარებული ქვეყანა მინდა გვქონდეს. პარლამენტში კენჭს ვიყრიდი, მაგრამ თანამდებობებზე მოსვლა არ მიფიქრია, ჩემი საფიქრალი მხოლოდ საქართველოა.

«ამ ცხოვრებაში შემოიჭრა
სხვადასხვა ფერი,
ღმერთს ვევედრები,
ერთად რომ დადგეს,
ერი და ბერი».

- იშვიათია პოეტი, მშვიდობას რომ არ უმღეროს. გამონაკლისი არც თქვენ ხართ.

- ვინც ჩემს წიგნს თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ ყველა ლექსში მშვიდობასა და სიცოცხლეს ვუმღერი. სათქმელი ბევრი გექნება, როცა ბოლო წლებში საქართველოსთან მიმართებაში მომხდარი უსამართლობის მომსწრე ხარ. ჩემთვის უმძიმესი იყო აფხაზეთის ტრაგედია, 2008 წლის 8 აგვისტო... ჩემთვის მიუღებელია, როცა უცხოელი და ადგილობრივი პოლიტიკოსების არაფრისმთქმელ შეფასებებს ვისმენ. ხატოვანი გამოთქმაა: «კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩენიაო». შევებრძოლეთ ერთხელ, ისიც სხვისი წაქეზებით რუსეთს და ხელში დაკარგული ტერიტორიები შეგვრჩა. ახლა რა სჭირთ ზოგიერთებს, უფრო სწორად, ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის მსურველებს, რომ ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებენ? ისტორია წლების შემდეგ განსჯის მტყუან-მართალს. მე ხელისუფლების გონივრულ მოქმედებას დადებითად ვაფასებ. რუსეთუმე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მეზობელთან მუდმივ დაპირისპირებაში ყოფნა, იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა, ტურისტების არშემოშვება, ყველა მათგანის ჯაშუშად მონათვლა ქვეყანას სარგებელს ვერ მოუტანს.

- წინასაახალწლოდ რას უსურვებთ ერს, ქვეყანას?

- მშვიდობას, შრომას, შენებას, დაკარგული ტერიტორიების, მიგრანტების დაბრუნებას, ქართული მიწის ბარაქის ათვისებას.

დასასრულ ჩემი ლექსიდან - «ახალ წელს» ერთ სტროფს მოვიშველიებ:

«ახალი წელი მოსულა,
ძველს კი ეცლება სხივები,
გადაულოცა სიახლე,
ბარაქა, ხვავი, ზვინები».

> ***„ერთი წუთითაც არ ვაპირებ პოლიტიკისგან ჩამოშორებას. ქვეყანას უმადურებს და არაკაცებს საჯიჯგნად ვერ დავუტოვებ. სამი შვილის მამას, შვილიშვილების ბაბუას, დამშვიდებული და დაწყნარებული ქვეყანა მინდა გვქონდეს. პარლამენტში კენჭს ვიყრიდი, მაგრამ თანამდებობებზე მოსვლა არ მიფიქრია***

არ ჩაუვლია. იმ ხანად ქვეყანაში არსებულ უსამართლობას, ძალადობას, უგუნურებას ვებრძოდი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც მრავალჯერ ვმდგარვარ. იმ დროს ყველაფრის სააშკარაოზე გამოტანა სარგებელს ვერ მოიტანდა. სამალავში ჩამჯდარი, ოპერატიულ მუშაობაზე გასული ხშირად კალამს მოვიმარჯვებდი და ჩემს ტკივილზე ლექსებში ვსაუბრობდი:

«დაიყო ერი, სული დაიყო
სხვადასხვა ფერად,
ვკარგავთ კუთხეებს,
ვკარგავთ ადათ-წესს,
საპნის ბუშტს ვბერავთ»

„ერთი წუთითაც არ ვაპირებ პოლიტიკისგან ჩამოშორებას. ქვეყანას უმადურებს და არაკაცებს საჯიჯგნად ვერ დავუტოვებ. სამი შვილის მამას, შვილიშვილების ბაბუას, დამშვიდებული და დაწყნარებული ქვეყანა მინდა გვქონდეს. პარლამენტში კენჭს ვიყრიდი, მაგრამ თანამდებობებზე მოსვლა არ მიფიქრია

ფონდი „შუბანი“ ქველმოქმედებას აგრძელებს

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

საქველმოქმედო ფონდი „შუბანი“ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ დავით ცეცხლაძის ინიციატივით, არაერთი ქველმოქმედებისა და ღონისძიების ორგანიზატორია

ასე იყო ამჯერადაც. მათ შუბნის საჯარო სკოლაში ჯგუფი „ბერიკები“ (ხელმძღვანელი რეზო ბაინაზიშვილი) მოიწვიეს. ჯგუფმა დამსწრეთ საინტერესო და სახალისო ნომრები შესთავაზა.

- „ბერიკებმა“ საახალწლო განწყობა შექმნეს. მოსწავლეებთან ერთად უფროსებმაც ვიხალისეთ, - გვითხრა შუბნის საჯარო სკოლის დირექტორმა ემზარ ჯუმუშაძემ.

უკრაინის მოწოდება – გაეროს წევრ ქვეყნებს

გადადგან ოფიციალური ნაბიჯები იმის დასამტკიცებლად, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის წევრობა „არაკანონიერია“ და ოფიციალურ მოსკოვს უნდა ჩამოართვან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი.

უკრაინის საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციას არასოდეს გაუვლია გაეროს უშიშროების საბჭოს წევრობისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურა და, აქედან გამომდინარე, უკანონოდ იკავებს სსრკ-ის ადგილს გაეროს უშიშროების საბჭოში.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთის ქმედებები ეწინააღმდეგება „მშვიდობისმოყვარე“ სახელმწიფოს კონცეფციას.

„გაერო-ში მისი უკანონო ყოფნის სამი ათწლეული აღინიშნა ომებით და სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებით, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალისმიერი შეცვლით და მისი დამპყრობლური და ნეოიმპერიული ამბიციების დაკმაყოფილების მცდელობებით“ , - ნათქვამია უკრაინის საგარეო უწყების განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

„ინერციის გასამართლება“

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

წაბლანის საჯარო სკოლაში ფიზიკის წრის წევრებმა, მასწავლებელ ნათელა სურმანიძის ხელმძღვანელობით, მოაწყვეს „ინერციის გასამართლება“. მონაწილეობდნენ VII, VIII და X კლასის მოსწავლეები: ლინდა, მაკა დავითაძეები, ნიკა, ანანო, ბარბარე, სოფიკო, ზურაბ შაინიძეები

ღონისძიება საინტერესო იყო, ბავშვებმა კარგად განასახიერეს სასამართლო პროცესზე როლები. ღონისძიების დასასრულ აქტიურ მონაწილეებს სკოლის დირექტორმა გულნარა შაინიძემ საპატიო სიგელები გადასცა.

- სკოლის ადმინისტრაცია მადლობას ვუხდით პედაგოგსა და ფიზიკის წრის თითოეულ მოსწავლეს. ეს აქტივობა იმ მოსწავლეებს სასიკეთოდ წაადგებათ, რომლებსაც მომავალში სამართალმცოდნეობა აქვთ არჩეული, - გვითხრა გულნარა შაინიძემ.

რამდენად საფუძვლიანია იენს სტოლტენბერგის ოპტიმიზმი?

გერმანული გამომცემლობა Deutsche Welle-ს ინფორმაციით, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი არ ელოდება, რომ თურქეთი დიდი ხნით დაბლოკავს შვედეთისა და ფინეთის ალიანსში შესვლას.

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი „ძალიან დარწმუნებულია“, რომ შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრიანების წინადადებების რატიფიცირება „დროზე დასრულდება“ და მოელის, რომ ისინი ალიანსს 2023 წელს შეუერთდებიან.

გამოცემის ინფორმაციით, ამგვარად, სტოლტენბერგმა მიანიშნა, რომ არ ელოდება თურქეთის მხრიდან ორივე ქვეყნის ნატოში შესვლის დიდი ხნით დაბლოკვას.

ამირან გურიელიძე

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა გაიმართა

დარინა გაბაიძე 27 48 93

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მინისტრ ზურაბ აზარაშვილის ხელმძღვანელობით, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა გაიმართა

კომისიის წევრებმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „შრომის ინსპექციის შესახებ“ №81 კონვენციის და „იძულებითი შრომის შესახებ“ №29 კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის შესახებ იმსჯელეს.

კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი როგორც კონვენციის, ისე ოქმის რატიფიცირების საკითხს.

მხარეებმა ეროვნული მინიმალური ხელფასის რეფორმაზე ისაუბრეს და ორსულობის, მშობიაობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების საკითხი განიხილეს. შეხვედრას მინისტრების მოადგილეები, მთავარი შრომის ინსპექტორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე და დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ესწრებოდნენ.

ქართული ტრადიციული რძის პროდუქტების პირველი კატალოგი

დარინა გაბაიძე 27 48 93

პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში, ქართული ტრადიციული რძის პროდუქტების პირველი კატალოგი შეიქმნა. მის პრეზენტაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი ესწრებოდნენ

- პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში მესაქონლეობის განვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ თვისობრივად ახალ საფეხურზე გადადის ეს დარგი. ტარდება ტრენინგები ჩვენი ფერმერებისთვის, გამოიცა არაერთი სახელმძღვანელო, რაც რეალურად ეხმარება დარგს გაძლიერება-განვითარებაში. ვფიქრობ, ეს კატალოგი პირველი ნაბიჯია. მომავალში, ის კიდევ უფრო შეივსება, დაიხვეწება და გვექნება დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ, თუ როგორია განვითარება ამ დარგში, - აღნიშნა გიორგი ხანიშვილმა.

ხსენებული პროექტის ფარგლებში, რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „საქრძის“ მიერ მომზადებული კატალოგი აერთიანებს 31 დასახელების ნაწარმის წარმოების გეოგრაფიულ-ისტორიული არეალის, გამოყენებული ნედლეულის, დამზადების ტექნოლოგიისა და ორგანოლეპტიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას. ინიციატივა ადგილობრივი რძის პროდუქტების მრავალფეროვნების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. კატალოგში შესულია რძის ნაწარმის ისეთი მივიწყებული სახეობები, როგორიცაა გვაჯილა, კობის ყველი, კაზლა ყველი, კალტი, ყურუთი, ასევე რძის სხვა პროდუქტები - გაწურული მაწონი, ნადუღი, კაიმაღი...

პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ დაფინანსებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ, რომელსაც ახორციელებს Land O'Lakes Venture37 საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად აკაკი იაშვილი აირჩიეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა, რომელზეც, დელეგატთა სრული მხარდაჭერით, ოთხი წლის ვადით, ფედერაციის პრეზიდენტად აკაკი იაშვილი აირჩიეს

აკაკი იაშვილი ოთხი წლის განმავლობაში იკავებდა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, ამჟამად კი ამავე ორგანიზაციის განსაკუთრებულ დავალებათა დირექტორია. აღსანიშნავია, რომ ახლად არჩეული გამგეობის 15 წევრს შორისაა აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სალომე მელიაც.

აკაკი იაშვილმა მადლობა გადაუხადა გია გიორგაძეს, რომელიც 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჭადრაკის ფედერაციას, ამიერიდან კი საქმიანობას ვიცე-პრეზიდენტის სტატუსით გააგრძელებს. გენერალურ მდივნად კვლავ სოფიო გვეტაძე აირჩიეს.

ყრილობას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე მაისურაძე ესწრებოდა.

როგორც აკაკი იაშვილმა განაცხადა, ფედერაციის დევიზია: „ყველაფერი - უმაღლესი შედეგისთვის“. მისივე თქმით, ძალისხმევას არ დაიშურებენ, რომ 2030 წლამდე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დავიბრუნოთ ქალთა შორის.

- ვიმუშავებთ ფედერაციის რებრენდინგზე, გავაძლიერებთ მუშაობას მარკეტინგის მიმართულებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჭადრაკი გაუტოლდეს ოლიმპიურ სახეობებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბავშვთა ჭადრაკს და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, - აღნიშნა აკაკი იაშვილმა.

„ნაპოლის“ ქართველი ჯადოქარი“

ცნობილი სპორტული ვებგვერდი Goal-ი ფეხბურთელთა ევროპული საკლუბო სეზონის სიმბოლურ თერთმეტეულს გვთავაზობს, რომლებმაც, მათი აზრით, სეზონის პირველი წრე ყველაზე შთამბეჭდავად ჩაატარეს. სასიამოვნოა, რომ გუნდში შეეყვანილია ხვიჩა კვარაცხელიაც, რომელზეც Goal-ი წერს:

„ახლა კი მივადექით კაცს, რომელიც უკვე სეზონის მთავარ ტრანსფერად გვევლინება - „ნაპოლის“ ქართველი ჯადოქარი კვარაცხელია. 21 წლის ფეხბურთელი, რომელიც ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას ბათუმის „დინამოდან“ სულ რაღაც 10 მილიონი ევრო დაჯდა. „ნაპოლის“ შემადგენლობაში მან პირველი 17 მატჩი ფენომენალურად ჩაატარა და კლუბის სიმბოლო დიეგო მარადონას სახელიც - „კვარადონა“ მოიპოვა. კვარაცხელია არის არაორდინარული და არაპროგნოზირებადი, ახალი თაობის გარემარბი, რომელზეც მთელი კონტინენტის მცველებს წარმოდგენა არ აქვთ, როგორ შეაჩერონ, მათ შორის ტრენტ ალექსანდრ-არნოლდს, რომელსაც კვარა დაუნდობლად ეთამაშა, როდესაც „ნაპოლიმ“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში „ლივერპული“ 4:1 დაამარცხა. „ნაპოლი“ ათწლეულების განმავლობაში პირველად არის ნამდვილი კონკურენტუნარიანი გუნდი მრავალ ფრონტზე და კვარაცხელიას ლიდერობით. არ არსებობს მათთვის შეზღუდვა, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდნენ ისინი“.

რაც შეეხება მთლიანად სეზონის პირველი ნახევრის თერთმეტეულს, ის ასე გამოიყურება: მეკარე - ბრის სამბა („ლანსი“); მცველები - კირან ტრიპიერი („ნიუკასლი“), კიმ მინ ჯე („ნაპოლი“), უილიამ სალიბა („არსენალი“), ჟოაო კანსელუ („მანჩესტერ სიტი“); ნახევარმცველები - კევინ დე ბრუინი („მანჩესტერ სიტი“), ჯამალ მუსიალა („ბაიერნი“), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“); თავდამსხმელები - ლიონელ მესი, ნეიმარი (ორივე „პსჟ“), ერლინგ ჰოლანდი („მანჩესტერ სიტი“).

ამირან გურიელიძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განმარტავს...

2022 წლის ელჩების კონფერენციის გახსნის ღონისძიებაში პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მონაწილეობა არ მიიღო. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ ელჩების კონფერენციის გახსნის ღონისძიებაზე ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და დიპლომატიური პროტოკოლის საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული წესების უხეშ დარღვევას, რაც გამოიხატა ღონისძიების მასპინძლის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტისთვის კონფერენციაში მონაწილეობის დროს მისი სტატუსის შესაბამისი ადგილის არგანსაზღვრაში.

„საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. კონსტიტუცია სახელმწიფოში პრეზიდენტის ინსტიტუტს ანიჭებს უმაღლეს სტატუსს ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია სახელმწიფო ინსტიტუტების ღონისძიებებში, მით უფრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მთავარ დიპლომატიურ კონფერენციაზე სახელმწიფო და დიპლომატიური პროტოკოლის საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული წესების უხეში დარღვევა. ამგვარ დარღვევას, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ელჩების კონფერენციის გახსნის ღონისძიებაზე და გამოიხატა ღონისძიების მასპინძლის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტისთვის კონფერენციაში მონაწილეობის დროს მისი სტატუსის შესაბამისი ადგილის არგანსაზღვრაში“,- აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

საგარეო უწყება წუხილს გამოთქვამს, რომ პროტოკოლური განლაგების „მსოფლიოში აღიარებული წესი“ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სამინისტროს განმარტებით, ელჩების ყოველწლიურ კონფერენციაზე, ტრადიციულად, გათვალისწინებულია ხელისუფლების უმაღლესი შტოს წარმომადგენელთა გამოსვლები. მიმდინარე წლის ამბასადორიალზეც განსაზღვრული იყო საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვები.

„მაღალი რანგის სტუმრებისთვის ღონისძიებაზე განსაზღვრული იყო 4 ცენტრალური ადგილი, რა დროსაც პროტოკოლით გათვალისწინებულ იქნა პრეზიდენტის კონსტიტუციური თანამდებობა და პრეზიდენტის ადგილი გამოყოფილი იყო ცენტრალურ სკამზე, პრეზიდენტის მარცხნივ გათვალისწინებული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ხოლო მარჯვნივ - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი.

პროტოკოლური განლაგების აღნიშნული წესი აღიარებულია მსოფლიოში და სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის მიცემული განლაგება მიუღებელი აღმოჩნდა. იმედს ვიტოვებთ, აღნიშნული ტექნიკური ხასიათის გარემოება არ აღმოჩნდება დამაბრკოლებელი ფაქტორი საქართველოს პრეზიდენტისთვის მომავალში მონაწილეობა მიიღოს ქართველ დიპლომატებთან მაღალი დონის შეხვედრებში“, - აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ვებ-გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/12/22, 22 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

განწყობა, რომელიც დარბაზს დაეუფლა...

ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში ტრადიციულად, წინასაახალწლო კონცერტი გაიმართა, რომელშიც ყველა განყოფილების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. როგორც სკოლის დირექტორმა ნინო ჩაიძემ აღნიშნა, განსაკუთრებულად გამოირჩევა საგუნდო განყოფილება, რაც იმ დღესაც იგრძნობოდა. მსმენელით სავსე დარბაზში საზეიმო განწყობა სუფევდა

კონცერტი, რომელიც პედაგოგ რუსუდან კვახაძეს მიჰყავდა, ლამაზი ჰანგებით, იმპროვიზაციებით იყო გაჯერებული. კონცერტზე წარსდგნენ დირიჟორების - უსტია პილილიანის, ნაზი წიტაიშვილისა და ქეთევან მანელიშვილის მოსწავლეები, კონცერტმაისტერები - მარინე მიქელთაძე, ნინო რურუა, ლუიზა ლურსმანაშვილი, თინათინ წულაძე, თეო წულუკიძე.

სადებიუტო დირიჟორობა ჰქონდა საგუნდო განყოფილების მეათეკლასელ ქეთევან მამულაძეს.

- პირველად გამოვედი ფართო აუდიტორიის წინაშე, ცოტათი ვღელავდი, რადგან ჩემი თანატოლების გუნდი იყო, მაგრამ ყველაფერი კარგად ჩავატარე. ეს ჩემი პედაგოგის ქეთევან მანელიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ მენდო და დირიჟორობის საშუალება მომცა, - გვითხრა ქეთევან მამულაძემ.

ქეთევან მანელიშვილი საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე 1991 წლიდან, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობს. ამ დღეებში მან „წლის დიდოსტატის“ წოდება მიიღო.

- ასეთი მასობრივი გუნდები ბოლო 15 წელია, გვყავს. პირველ კლასში ჯგუფში 90 ბავშვია, სულ ოთხ ჯგუფს ვამეცადინებ. სცენაზე დღეს ასობით ბავშვი იდგა. ეს მათთვის დიდი ზეიმია. ისეთ პროგრამას ვურჩევ, რომ გამხიარულდნენ. შემაჯამებელი კონცერტებით, რომლებსაც წელიწადში ორჯერ - საშობაოდ და გაზაფხულზე - 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს, ვატარებთ, ბავშვებს ძალიან ვაბედნიერებთ, - გვითხრა ქეთევან მანელიშვილმა.

კონცერტზე შესრულდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ცნობილი ნაწარმოებები.

- განსაკუთრებით ქეთევან მანელიშვილს გამოვარჩევდი მისი ენერგიით, პოზიტივით, მუსიკისადმი და ბავშვებისადმი დამოკიდებულებით. ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს, - თქვა ნინო ჩაიძემ.

დიდი საახალწლო შოუ – ყინულზე

ბათუმის სპორტულმა ცენტრმა პატარებს დიდი ზეიმი მოუწყო. დარბაზი ძლივს იტევდა ყველა მსურველს. ყინულის მოედანზე სრული ანშლაგით ჩატარდა საახალწლო პროგრამა, რომელიც მსახიობ მამუკა მანჯგალაძეს მიჰყავდა

ამ დიდი შოუსთვის მოციგურავეები და მათი მწვრთნელები მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ და მართლაც, ულამაზესი სანახაობა გამოვიდა. ამ ტრადიციულ საახალწლო შოუზე, რომელსაც ყოველწლიურად მართავენ, ყინულის მოედანზე გაცოცხლდნენ ბავშვების საყვარელი გმირები. კონცერტის გარდა სპორტული ცენტრის მთელ პერიმეტრზე მიდიოდა სხვადასხვა აქტივობა. მხატვრები ბავშვებს საყვარელი გმირებით უხატავდნენ სახეს. ყინულზე ათობით მოციგურავე გამოვიდა, რომელთა შორის იყვნენ ჰოკეისტები, ერთეულთა თანრიგის სპორტსმენები, საკონცერტო დასი, სინქრონული გუნდი, მოყვარულთა ჯგუფის ნორჩი მოციგურავეები, რომელთაგან ყველაზე პატარა 4 წლის იყო, ასევე ჯგუფი „პლატინა“ - ცეცხლოვანი შოუთი.

წელს ბათუმის ყინულის სასახლე საიუბილეო წელს აღნიშნავს. უკვე 15 წელია, რაც ქალაქში ოლიმპიური სტანდარტის ყინულის მოედანი გვაქვს. სპორტულ ცენტრში მოციგურავეებთან ერთად ბავშვები სხვადასხვა უფასო სექციაშიც ვარჯიშობენ, როგორებიცაა: ქართული ჭიდაობა, ნიჩბოსნობა, ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო ფეხბურთი, ასევე არის სექცია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. რა თქმა უნდა, არის ფასიანი პაკეტებიც, მაგალითად, პატარებისთვის მინიმალური პაკეტი 20 ლარი ღირს, მაგრამ აქვთ სოციალური პაკეტიც, სადაც მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ფიგურული სრიალის შესწავლა სრულიად უფასოა. ბოლო პერიოდში აქაური პირობები გაუმჯობესდა, შეძენილია ახალი ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან იგეგმება ახალ კაპიტალურ შენობაში გადასვლა.

აჭარის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და მწვრთნელი ლიკა ნაკაიძე 15 წლის წინათ სამი თვით ჩამოვიდა აქ და... დარჩა. მაშინ სამი მწვრთნელი 700 ბავშვს ემსახურებოდა. ამჟამად გაცილებით მეტი მწვრთნელი მუშაობს. წელს მართლაც მასშტაბური ღონისძიება გამართეს. ყინულის სასახლის წარმომადგენლები მადლობას უხდიან ბათუმის მერიასა და სპორტის დეპარტამენტს გვერდში დგომისთვის. ყოველ წელს მათ მერია ციგურებითა და კოსტიუმებით ამარაგებს, ღონისძიებებს სპორტის დეპარტამენტი უფინანსებთ და სასიხარულოა, რომ ეს თანხა ყოველწლიურად იზრდება. ბავშვები ხშირად დაჰყავთ შეჯიბრებებზე, ტრენინგებზე...

- სინქრონული ციგურაობის გუნდში, დასში გაერთიანება ყველას შეუძლია, ვისაც პატარა მონაცემი მაინც აქვს, ყველასთვის უფასოა. ბათუმის მერია, სპორტული ცენტრის ხელმძღვანელობა ცდილობენ, რომ ეს სპორტი კიდევ უფრო განვითარდეს აჭარაში. გარდა იმისა, რომ ლამაზი სპორტია, იგი ჯანმრთელობისთვისაც მეტად სასარგებლოა - უხდება მათ, ვისაც ბრონქები, ასთმა, ალერგია აწუხებს.

სინქრონული ციგურაობის გუნდი პირველად ბათუმში შეიქმნა, რადგან სტანდარტული ყინულის მოედანი ჯერჯერობით, საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ჩვენს ქალაქშია. ეს გუნდი საკმაოდ წარმატებულად, საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობს, სხვადასხვა კატეგორიაში საპრიზო ადგილებზე გადიან. ჰყავთ ასევე, მოსამზადებელი სინქრონული ჯგუფიც.

ვანო ჯანჯალაშვილი აქ ჰოკეისტთა გუნდის მწვრთნელია. გუნდი 2016 წლიდან შეიქმნა. ეს ჰოკეის პირველი ოფიციალური გუნდია, რომელშიც 40 ბავშვია გაერთიანებული. იგი საქართველოს შიდა ჩემპიონატებში მონაწილეობს, ახლახან ბათუმში ჩატარებულ ღია ფესტივალზე კი პირველი ადგილი დაიკავა. გუნდის წევრებს ორ ასაკში ვანო ჯანჯალაშვილი და დათო ოგანეზიანი ავარჯიშებენ. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საქართველოში ზამთრის სახეობებში ახალგაზრდული ოლიმპიადა ტარდება და მასში ჩვენი ჰოკეისტებიც იასპარეზებენ.

ხუთი მწვრთნელი და ხუთი ინსტრუქტორი ემსახურება ფიგურისტებს: ლელა ჩოფიკაშვილი, ინგა ბუთიკაშვილი, სესილი ბერძენიშვილი, ლია ნაკაიძე, ვანო ჯანჯალაშვილი, ასევე, ქორეოგრაფები: სანდრო მესხი, მალხაზ ირემაძე, ინსტრუქტორები, რომლებიც მწვრთნელ ლია ნაკაიძის აღზრდილები არიან.

სპორტული ცენტრის მთავარი მწვრთნელი ლელა ჩოფიკაშვილი აქ ათი წელია, მუშაობს. მისი მოსწავლე იყო ნიკა ეგაძე, რომელმაც 2017 წელს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

შეკრებილებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ, ბათუმის სპორტული ცენტრის დირექტორმა უჩა აბრამიშვილმა.

P.S. *ვფიქრობთ, სამომავლოდ უკეთესი იქნება, თუ ასეთი ღონისძიება რამდენიმე დღეზე გადანაწილდება, რადგან იმდენი ბავშვი და მათი თანმხლები პირი მოვიდა (მთელი ქალაქის მასშტაბით - საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და საჯარო სკოლების მოსწავლეები), რომ უამრავი ადამიანი ფეხზე იდგა, გასასვლელი არსად იყო, რაც პატარებისთვის დისკომფორტს ქმნიდა და ამ ულამაზეს სანახაობას ჩრდილს აყენებდა.*

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა